ხუთნიშნა მულტიმოდალური ეპისტემიკური ლუკასევიჩის ლოგიკა კონსტანტებით

ზურაბ ვაშაკიძე [ა]

ელ. ფოსტა: zurab.vashakidze306@ens.tsu.edu.ge

[ა] ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2

ნაშრომში განვითარებულია ხუთნიშნა მულტიმოდალური ეპისტემიკური ლუკასევიჩის ლოგიკა კონსტანტებით $EŁ_5^c(n)$, რომელიც ხუთნიშნა ლუკასევიჩის ლოგიკის $Ł_5$ გაფართოვებაა, რომლის ენა გაფართოვებულია ნულარული და უნარული კავშირებით; ამავე დროს განვითარებულია ამ ლოგიკების შესაბამისი ალგებრული თეორია. უნარული კავშირები ინტერპრეტირებულია როგორც მოდალური ოპერატორები (ცოდნის ოპერატორები). ეს ლოგიკა განსაზღვრულია აქსიომატიკურად და დამტკიცებულია სისრული თეორემა შესაბამისი ალგებრათა მრავალსახეობის მიმართ. აღვნიშნოთ, რომ მოცემული ლოგიკა გამოიყენება იმუნური სისტემის შესწავლაში.